# ცნობის ფურცელი

## სურათებიანი დამატება

დამატების № 339. კვირა, 14 აგვისტო 1905 წ. გაზეთის № 2887.

# თავდავიწყება

I

დედის ერთა ვიყავი.

დედაჩემი შეძლებული, გულუბრყვილო, გულკეთილი და სტუმრის მოყვარე დედაკაცი იყო. საშინლად უყვარდა თავის პატარა სახლი, დიდი ვენახი, უზარმაზარი ტყე, ქათმები, ჰუკები, კომბოსტოს წნილი, ხანგადასულ ქალების გათხოვება და თავის ერთად-ერთი შვილის—ახალგაზდა სტუდენტის განებივრება, ქება და წერილებით თავის მობეზრება. იმის ერთად-ერთი იმედი მე ვიყავი: თავს მევლებოდა, ჩემზე ლოცულობდა, მოკრძალებით მიხსენიებდა და ყოველ ჩემს ახირებულ სურვილსა და ბავშვურ ჟინს სიტყვის შეუბრუნებლად მისრულებდა.

არც მე და არც დედაჩემს ერთმანეთის გარდა არავინ გვებადა. ჩვენი მამული რკინის გზის სადგურიდან იწყებოდა და ზევით მთებში იკარგებოდა. პატარა, მაგრამ კოხტა, თოვლივით თეთრი და კაკლებში ჩაფლული სახლი ცალის მხრით მტკვარს გადაჰყურებდა, მეორე მხრით კი—რკინის გზის მიყრუებულ სადგურს. ჩვენს სოფელში ბევრი შეძლებული თავადიშვილი და კნეინა ცხოვრობდა, მაგრამ ყველაზე პატივცემული, განათლებული, მხიარული და სტუმრის მოყვარე მაინც დედაჩემი იყო. ზაფხულსა და შემოდგომას სოფელში ატარებდა: ვენახს უვლიდა, ფრინველს აშენებდა, ღალებს ჰკრებდა და აუარებელ წნილსა და მურაბებს ამზადებდა. ზამთრის დამდეგს სურსათით იტვირთებოდა, ტფილისში მიდიოდა და იქიდან რუსეთში მურაბებსა, ფულსა და წერილებს მიგზავნიდა.



**ახალგაზდა ქალი და ამური.**—ქანდაკება კრაუზისა

იმ წელიწადს ერთ ქალს გადავეკიდე მოსკოვში და საზაფხულოდ მხოლოდ ივლისის დამდეგს-ღა ვეწვიე დედაჩემს. სანამ მე და დედაჩემი ერთმანეთს ვკოცნიდით, ახალგაზდა მოახლემ ჩვენს სოფლელ გლეხს ჩემი ბარგი ჩამოართვა და ისე სწრაფად მიიმალა სახლში, რომ თვალი ვეღარ მოვკარი. მერე მე და დედაჩემიც შევედით ოთახში, დავსხედით და, დიდის ხნის უნახაობის შემდეგ, ცხარე ლაპარაკი გავაბით. დედამ ბევრი ახალი ამბავი შემატყობინა; ხუცინაანთ გლახა მომკვდარიყო, ტიტოს ჯვარი დაეწერა, გიორგის სახლი გაეყიდნა, ჩვენი ნიშა ხარი მოეპარათ, ლომა კამეჩს ფეხი მოეტეხა და, ყველა ამ უბედურების დასაგვირგვინებლად, ჩვენს მოახლე მაშოს სკივრი გაეტეხა, დედიჩემის ძვირფასი ჩიხტაკოპი, სარტყელი, ქინძისთავი წაეღო და სადღაც გადაკარგულიყო.

—ახლა ახალი მოახლე მყავს.—ამით დაამთავრა დედაჩემმა ახალ ამბების სია და დაიძახა: ეკა!

კარებში 17—18 წლის გურული ქალი გამოჩნდა.

—აი, ეკა, ეს არის შენი ბატონი.—მეგობრულად უთხრა დედა-ჩემმა—ყოველ-დღე რომ მოელოდი და წამ-და-უწუმ მეკითხებოდი—როდის მოვაო,—აი, მოვიდა კიდეც. აბა, შეხედე, როგორ მოგწონს!

ჩემს წინ მაღალი, ტანადი, ახლად შემწიფებული და ვეფხივით მოქნილი ქალი იდგა. კუპრივით შავი, ხუჭუჭი და აბურძგვნილი თმა ტალღებივით ეყარა თავზე, სწორსა და ცოტა მაღალს შუბლს შავ ნისლსავით დაჰყურებდა და პაწაწკინა ყურებს, სავსე მხარ-ბეჭსა და ამაყად პოღერილს მოშავო კისერს საუცხოვო ჩრდილსა სდებდა. ამ ჰაეროვან და შავ ქსელისაგან გაკეთებულ ჩარჩოდან პატარა, ფუნჩულა და საუცხოვოდ შეწყობილი პირისახე გამოიყურებოდა. მისი ყოველი ასო, ყოველი ნაკვთი სწორედ შემოხაზული და ხელოვნურად გამოქანდაკებული იყო. პირის კანი ოდნავ მოშავო, მაგრამ ხავერდივით წმინდა ჰქონდა პატარა, წითელი და გახსნილი ტუჩები თეთრად ჩამწკრივებულ კბილებს ამაყად და თავმომწონედ დასცქეროდა. ტანი სწორედ და თავისუფლად ეჭირა. თავი ოდნავ უკან ჰქონდა გადაგდებული. სახის გამომეტყველება ამყი და კეთილშობილური ჰქონდა.

## ეჩმიაძინის ახლო აღმოჩენილი ნანგრევები



აღმოსავლეთის ნაწილი და ემბაზი ქვისა.



ჩრდილოეთის ნაწილი

შევხედე, გავშრი, დავაშტერდი და თვალი ველარ მოვაშორე. ის კი განუძრევლად იდგა და შავ წარბების ჩრდილში შეფარებულ დიდრონ და მოელვარე თვალების ისრებს ხან მე მესროდა, ხან დედა-ჩემს.

— მოგწონს თუ არა!—გაუმეორა დედა-ჩემმა.

ეკამ გაიღიმა, უფრო მეტად გამოიჩინა თავისი თეთრი კბილები, თავი დაღუნა და წვრილის ხმით წაიჩურჩულა:

— კი, ბატონო.

— მაშ, აბა, ერთი ბალი მოუკრიფე და მოუტანე.

ეკამ ერთხელ კიდევ შემომხედა, გაიღიმა და ერთის წუ-

თით დამაშტერდა. მერე თავის გაქნევ-გამოქნევით შუბლზე ჩამოშლილი თმა უკან გადიყარა და კარებს უკან მიიმალა. დედამ რაღაცა მკითხა, მაგრამ პასუხი არ მივეცი. ჩემს წინ ისევ ეკა იდგა და მეც ხარბად ჩავცქეროდი მისს ტალღები-ვით გაფანტულ თმას, ღრმა და მოელვარე თვალებს, ამაყად



ნანგრევებში ნაპოვნი ორნამენტები.

აწეულ ყელსა და ოდნავ გახსნილ ტუჩებს, იმ ტუჩებს, რომელზედაც საფრანგეთის ლოთმა პოეტმა პოლ ვერლენმა სთქვა: ეს ტუჩები ჰგავს ღრმად ჩაჭრილს, ახალსა და წითელ იარას და მასზე ზანტად სთვლემავს ვნებათა ღელვაო.

ცოტა ხნის შემდეგ მე და დედამ სოფელი ჩამოვიარეთ და ნაცნობები, ნათესავები და მეზობლები ვინახულეთ. ყველა სადილად გვიწვევდა, მაგრამ მე უარზე ვიყავი და შინისკენ, ეკასკენ მივეჩქარებოდი. როცა დავბრუნდით, მე სახლს გარშემო შემოვუარე, ოთახებს თვალიერება დაუწყე და სამზარეულოშიაც შევედი. ეკა დახრილი იდგა და ქვაბებთან ფათურობდა. წვრილი, მოშავო, ნაზი და ატლასივით პრიალა მკლავეზე ნახევრად ტიტველი ჰქონდა. მობრუნდა, ტანში გასწორდა, თავის გაქნევით თმა უკან გადაიყარა და გულუბრყვილო ღიმილით თვალებში ჩამაცქერდა. ცეცხლისაგან პირსახე ალეწილი და გაწითლებული ჰქონდა. თვალები ნაკვერჩხალივთ უბრწყინავდა. მეც გავიღიმე და იმის ისევ ოდნავ გახსნილ ტუჩებს ჩავაშტერდი. თვალი მომარიდა, მიბრუნდა და ჭურჭელი აახმაურა. სამზარეულოში დიდხანს გავჩერდი, ჭერს, იატაკს, კედლებს, ქვაბებს და აბლაბუდას ვათვალიერებდი, ნამდვილად კი ეკას ტიტველა მკლავებს, მოქნილ ტანსა და პირსახეს ვაშტერდებოდი.

ეკამ ქვაბიდან ქათამი ამოიღო და დაჭრა დაუპირა, მაგრამ მე არ დავანებე და დანა ავიღე. მე ქათამს ვჭრიდი, ის კი გვერდით მედგა, იღიმებოდა, ხელებში მიყურებდა და მორცხვად მასწავლიდა. მერე, როცა ქათამს განგებ ფრთა და კისერი ერთად მოვაჭერი, ზარივით გადაიკისკისა, შემარცხვინა, ქათამი ძალით გამომტაცა და ჩემი დაწყებული საქმე თვითონ დაამთავრა.

სადილს შემდეგ დედაჩემი დასასვენებლად წავიდა. ეკამ საკერავი აიღო და იქვე აივნის წინ ჩრდილში დაჯდა. მეც წიგნი ავიღე და აივანზე გაველი, მაგრამ კითხვისთვის არ მცალოდა. აივნიდან ეკას ლაპარაკი გავუბი, ეკას ჯერ სცხვენოდა, წითლდებოდა, ენა ებმოდა. ხმა უკანკალებდა, მაგრამ ხუმრობითა და გულწრფელობით მალე გავათამამე და ლაპარაკში ჩავითრიე. ცოტა ხნის შემდეგ, ეკამ საკერავი გვერდზე გადასდო. მეც წიგნი იატაკზე ჩამივარდა. ერთის საათის შემდეგ ერთმანეთს შევეჩვიეთ, შენობით ველაპარაკებოდით და ერთმანეთს თავგადასავალი ვუამბეთ.

ეკაც დედის ერთა იყო. შარშანდლამდე გურიაში ცხოვრობდნენ, მაგრამ მერე ტფილისში ჩამოვიდნენ და მრეცხაობა დაიწყეს. ექვსის თვის შემდეგ დედა მოუკვდა, თვითონ კი მთელს ქვეყანაზე მარტო დარჩა და ჯავრისაგან კინაღამ დედას გადაჰყვა. მერე შემთხვევით დედაჩემს შეხვდა და მოახლედ გამოჰყვა. ამის მეტი იმის სიცოცხლეში საინტერესო აღარა მომხდარა-რა.

ეკა გულში ჩამივარდა.

იმ ღამეს საშინლად დავიტანჯე. დაღლილ-დაქანცული ვიყავი და ადრე დავწექი, მაგრამ მამლის ყივილამდის ვერ დავიძინე. ხან იქით გადავბრუნდი, ხან აქეთ გადმოვბრუნდი, ხან თვალები დავხუჭე და ფიქრის ძაფი შევწყვიტე, მაგრამ ძილი მაინც ვერ მივიკარე. ეკა განუწყვეტლივ თვალწინ მედგა თავის შავ ტალღების მაგვარ თმით, მოელვარე თვალებით, მაღალ ყელით, ხავერდივით წმინდა პირისახით, მოქნილ ტანითა და... ოდნავ გახსნილ წითელ ტუჩებით, იმ ტუჩებით, რომელზედაც „ზანტად სთვლემდა ვნებათა ღელვა“. თავი ისევ უკან ჰქონდა გადაგდებული, დაბურულ-თვალებით მაცქერდებოდა, ამაყურად მიღიმოდა, მტანჯავდა, მაწვალებდა და შამფურივით მატრიალებდა. ხანგამოშვებით ვგრძნობდი იმის სუნთქვის სითბოს, ტანის სიცხოველეს, კანკალს, თრთოლვას და მეც ვკანკალებდი, ვთრთოდი და ოცნებით შექმნილ ქალს გულზე ვიკრავდი... ვგრძნობდი, რომ იმის ნაზი და ბუმბულივით რბილი თმა ჩემს პირისახეზე თრთოდა, მიღიტინებდა, მაჟრჟოლებდა და მეც უარესად ვწვალობდი, ვიტანჯებოდი, ხელებს წინ ვიშვერდი, ჰაერში ვაფათურებდი და ისევ ეკას, ისევ იმის სახრესავით მოქნილს, ნაზს, თბილსა და გამოქანდაკებულ ტანს ვეძებდი. დავიტანჯე.. დავიღალე... ოფლში გავიწურე და ბოლოს, ქანც-მოწყვეტილმა, დათენთილმა და მოშვებულმა მკვდარივით მივიძინე.

იმ დღიდან დაიწყო ჩემი განუწყვეტელი ტანჯვა. ეკას სურათი აღარ მშორდებოდა, მაგრამ არც მე ვშორდებოდი ეკას. აჩრდილივით თან დავდევდი და, სადაც კი შეხვდებოდი, დამშეულ თვალებით ვჭამდი, მაგრამ ვერასოდეს ვერ ვძღებოდი და მუდმივ მშიერი ვიყავი. ისიც ამყვა; ისე ამყვა, როგორც ის პატარა, გამოუცდელი და გულუბრყვილო ბავშვი, რომელსაც დიდებთან თამაში უხარიან, რომელიც ენდობა და მისდევს ყველას, ვინც კი გაუღიმებს, გაუცინებს, თითს დაუქნევს, თავს გაუყადრებს და იმასთან სათამაშოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიცლის. ამ ბავშვურ თამაშის დროს ხშირად ვიკრავდი გულზე, ხშირად ვხვევდი მკლავებს და ყალბად, ორგულად და ორპირად ვიცინოდი, ვმხიარულობდი, ვოხუნჯობდი და ვხუმრობდი; გულში კი... მაგრამ ის ჩემს გულში არ იხედებოდა, ან რად უნდა ჩაეხედნა, როცა მე მხოლოდ ვეთამაშებოდი და ველაზღანდარებოდი. მაგრამ ერთხელ, ჩემის დაუდევრობის გამო, ჩაიხედა; ჩაიხედა და შეკრთა, შეშინდა, გონს მოვიდა. ამ ხუმრობის დროს თავი ველარ შევიმაგრე, მაგრა მოვხვიე მკლავები, გულში ჩავიკარი, სული გავნაბე და პირისახიდანაც ღიმილი მოვისპე. ისიც გაინაბა, ნერწყვის ყლაპვა დაიწყო, მიიბნიდა და მოეშვა, მაგრამ მალე გონს მოვიდა, ხელიდან გამისხლტა, დაიმალა და ერთი კვირის განმავლობაში ახლო აღარ მომეკარა. მერე ისევ შემეჩვია.

**მ. ადამაშვილი**

(დასასრული იქმნება)



რედაქტორ-გამომცემელი ალ. ზ. ჯაბადარი

Доз. ценз. Тифлис, 12 августа 1905 г.
ელექტრონის სტამბა წიგ. გამომც. ქართ. ამხ—სა.